

## სარჩევი

წინასიტყვაობა .....	2
შესავალი .....	3
ჯანდაცვის სფეროს ზოგადი პრობლემები .....	4
ჯანდაცვის რეფორმის ძირითადი მიმართულებები .....	5
სიღარიბის ფონე .....	8
სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამეცინო დახმარების პროგრამა .....	9
სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის მონაცემთა ბაზის ფორმირება.....	11
სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამეცინო დახმარების პროგრამის მონიტორინგი 2006 წელს .....	12
სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამეცინო დახმარების პროგრამის მონიტორინგი 2007 წელს .....	15
სერვისის მომწოდებელი ორგანიზაციების კვლევის შედეგები .....	24
ჯანდაცვის დაფინანსებაში არსებული მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა და შედარება სოციალისტური ბანაკის ცალკეულ ქვეყნებთან .....	26
საქართველოს დაზღვევის სექტორის განვითარების ტენდენციების მოკლე მიმოხილვა .....	29
დასკვნა .....	30

## წინასიტყვაობა

2006 წლის იანვრიდან ფონდი „ლია საზოგადოება საქართველო“ ახორციელებს „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამეცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამის მონიტორინგის“ პროექტს.

„სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამეცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამა“ (შემდგომში: პროგრამა) ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმის მნიშვნელოვანი ეტაპია, რომელიც მიზნად ისახავს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის იდენტიფიკაციას, მონაცემთა ბაზის შექმნას, მათთვის ე.შ. „საბაზისო ჯანდაცვის პაკეტის“ შექმნას, რომლის მიხედვითაც დარიბი მოსახლეობისათვის სახელმწიფო შეისყიდის „საბაზისო პაკეტით“ გათვალისწინებულ სერვისებს. ეს პროგრამა სახელმწიფო პროგრამათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და მნიშვნელოვანია. ამის გათვალისწინებით, ფონდმა „ლია საზოგადოება საქართველომ“ გადაწყვიტა პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ლონისძიებების მონიტორინგი, პროგრამის განხორციელების ეფექტურობის კუთხით.

წინამდებარე ანგარიში 2006 წლის იანვარიდან ნოემბრიამდე მიღებულ მასალაზე დაყრდნობით შეიქმნა. მასში გაანალიზებულია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამეცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობა 2006 წელს და 2007 წლის 10 თვის შედეგები.

პროექტის ფარგლებში სამუშაო ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, ჯანმრთელობისა და სოციალური დახმარებს სააგენტოსთან, ისევე როგორც ჯანდაცვის სფეროში მომუშავე აღგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან. სამუშაო ჯგუფი მათლობას უხდის აშშ-ს „ლია საზოგადოების ინსტიტუტის“ საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამას პროექტის ფარგლებში გაწეული ფინანსური დახმარებისათვის. ასევე „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ ექსპერტებს გაწეული საექსპერტო მომსახურებისათვის.

## შესავალი

„სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამეციცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამა“ ჯანდაცვის სფეროში მიმღინარე რეფორმის მნიშვნელოვანი ეტაპია. აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის იდენტიფიკაციას, მონაცემთა ბაზის შექმნას, მათთვის ე.ნ. „საბაზისო ჯანდაცვის პაკეტის“ შექმნას, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო შეისყიდის „საბაზისო პაკეტით“ გათვალისწინებულ სერვისებს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისათვის.

წინამდებარე პროექტის ზოგადი მიზანია „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამეციცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხების მიზნობრიობის მონიტორინგი და გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების დანერგვის ხელშეწყობა, რაღაც მოსახლეობის დიდი ნაწილი (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ღარიბი მოსახლეობა) არასაკარისად არის ინფორმირებული იმ სერვისებისა და დახმარებების შესახებ, რასაც სახელმწიფო მათთვის შეისყიდის.

ცნობილია, რომ საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკური მონაცემები არასრულყოფილი და არაზუსტია, რაც სახელმწიფოს არ აძლევს რეალურ საშუალებას სამეციცინო სერვისებით სრულყოფილად უზრუნველყოს უმნეო მოსახლეობა; პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოში მოსახლეობის დიდი ნაწილი არათორმალურია დასაქმებული, რაც მათი შემოსავლის რეგისტრაციას, დაბეგვრას, და ეროვნული სოციალური მონაცემები სტატისტიკური მონაცემების ბაზაში შეტანას აფერხებს. აქედან გამომდინარე, დღემდე ვერ ხერხდება ღარიბი მოსახლეობის სრულად იდენტიფიცირება და მათთვის საჭირო დახმარების მიწოდება.

ამრიგად, „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამეციცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამის“ მონიტორინგის პროექტის პირველი ეტაპის ამოცანა იყო:

- „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამეციცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამის“ - მონიტორინგი, თუ რამდენად გამჭვირვალედ, მიზნობრივად და ეფექტურად იხარჯება პროგრამის ფარგლებში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები;
- 2006 წლის და 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შეღარებითი ანალიზის განხორციელება „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამეციცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამის“ კუთხით – თუ რა თანხაა

გათვალიწინებული სახელმწიფო ბიუჯეტში ამ პროგრამისთვის 2007 წელს 2006 წლის მაჩვენებლებთან მიმართებაში;

- პროგრამის ფარგლებში გაწეული მომსახურებისა და დაფინანსების აღექვატურობის მონიტორინგი;
- მომავალში რამდენი პროცენტით იცვლება ჯანდაცვის პრიორიტეტების შესაბამისი ხარჯების საბიუჯეტო დაფინანსება, ანუ გაზარდა თუ არა ხელისუფლებამ 2007 წლის ბიუჯეტში ამ სფეროების დაფინანსება და რამდენად აღექვატურია ეს ზრდა მომსახურების რეალური ფასების ზრდისან;
- პროგრამის ეკონომიკური ეფექტურობის ანალიზი – სახელმწიფო პროგრამათა უმრავლესობა წინასწარი ეკონომიკური ანალიზისა და გათვლების გარეშე მიმდინარეობს, რომლის მიზეზიც შესაძლოა პროფესიონალი კადრების სიმცირე, პროგრამის დაგეგმვის მოქლე ვადა და სხვა საკითხები იყოს. შესაბამისად, არასწორი დაგეგმვის შემთხვევაში ამგვარი პროგრამების საბოლოო შედეგი ხშირ შემთხვევაში არეფექტურია.
- საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდა პროგრამის მიმდინარეობისა და მიზნობრივად ხარჯვის შესახებ;

### **ჯანდაცვის სფეროს ზოგადი პრობლემები**

არახელმისაწვდომი და უხარისხო სამეცინო მომსახურება ქართული ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია. რეფორმა, რომლითაც უკავია უკავია როგორც ექიმი, ისე პაციენტი, აუცილებელ კორექტირებას საჭიროებს.

ჯანდაცვის სფეროში არსებულ პრობლემათა არასრული ნუსხა, შესაძლოა ასე ჩამოყალიბდეს:

- ჯანდაცვის რეფორმის ფრაგმენტულობა;
- ჯანდაცვის ინსტიტუციონალური სტრუქტურა იმდენად სუსტია, რომ ჯანდაცვის სერვისების მიმწოდებლების უმრავლესობა არ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტების მინიმუმს;
- ჯანდაცვის პროფესიონალთა და პროვაიდერთა სერტიფიცირება და ლიცენზირების პროცედურები უმეტესწილად ფორმალურია;
- ჯანდაცვის სექტორის რეგულირება ძალიან სუსტია, ან საერთოდ არ ფუნქციონირებს, ვინაიდან კონტრაქტები ფორმილება სახელმწიფო დაფინანსების პროგრამების ისეთ შემსრულებლებთან, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ლიცენზირების მინიმალურ სტანდარტებს;
- ჯანდაცვის სერვისების შემსყიდველი (ამჟამად სახელმწიფო) ვერ უზრუნველყოფს კონტრაქტირების მექანიზმების სრულყოფილად გამოყენებას; კონტრაქტებს თან ახლავს დანართები, რაც ოპტიმალური

დაგეგმვის შემთხვევაში კონტროლისა და რეგულირების ინსტრუმენტია; კონტრაქტის დანართებში უნდა იყოს დეტალიზირებულად განმარტებული სპეციფიკური მოთხოვნები და კონტრაქტის შესრულების კონკრეტული პროცედურები, ნორმები.

- საქართველოში ჯანდაცვის კურძო სექტორი (ჯანდაცვის სერვისების მიმწოდებელი კურძო სამართლის იურიდიული პირები და სატაზლვევო კომპანიები) არ არის განვითარებული, რაც არ იძლევა იმის საშუალებას რომ ზემოთხსენებული პრობლემების მოგვარების პასუხისმგებლობა სახელმწიფოსა და კურძო სექტორის შორის გადანაწილდეს;
- მოსახლეობა არ არის სათანადოდ ინფორმირებული საკუთარი უფლებებისა და სახელმწიფოს მიერ მათთვის მინიჭებული პრივილეგიების შესახებ;

### **ჯანდაცვის სფეროს რეფორმის ძირითადი მიზანთაღება**

საქართველოში 1995 წლიდან მიმდინარეობს რეფორმები ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დაფინანსების სისტემისა და ინსტიტუციონალური მოწყობის მიმართულებით. მიუხედავად ამისა, სისტემა დღემდე რეფორმირების სტადიაშია. რეფორმის ხარვეზები და ამ რეფორმათა ფრაგმენტები განხორციელება სისტემის დღევანდელ სახეზეც აისახება, სადაც დღემდე უამრავი პრობლემაა.

ჯანდაცვის სფეროს გარეაქმნა საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული რეფორმების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. საბაზო ეკონომიკაზე გადასვლამ დღის წესრიგში მოძველებული საბჭოთა ჯანდაცვის სისტემის ახალი, უფრო ეფექტური სისტემით შეცვლის გადაუდებელი ამოცანა დასვა. საგულისხმოა, რომ საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდი მძიმე სოციალური კატასტოფიზმებით ხასიათდებოდა, რაც უარყოფითად აისახა როგორც ჯანდაცვის მომსახურების მინიჭების მოცულობასა და ხარისხზე, ასევე მის მოთხოვნაზე. 1992-1996 წლებში ჯანდაცვის სახელმწიფო ხარჯი ერთ სულ მოსახლეზე წლის განმავლობაში ერთ აშშ დოლარამდე იყო.

მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგრადირების მეცნიერების ფონზე მოქალაქეთა ნაწილს სულ უფრო უჭირდა ჯანდაცვის მომსახურებით სარგებლობა, როგორც ფასების ზრდის, ასევე მათი შემოსავლების კლების გამო. მიუხედავად უკანასკნელ წლებში მიღწეული თვალსაჩინო ეკონომიკური წარმატებისა, ქვეყნის მოსახლეობის არსებითი ნაწილის მატერიალური მდგრადირება სასურველზე ბევრად უარესია. სადღეისოდ მაღალი ხარისხის სამეციცინო მომსახურებაზე მოსახლეობის მცირე ნაწილს თუ მიუწვდება ხელი, ხოლო საზოგადოების მნიშვნელოვანი ფენებისთვის ძირითადი, შედარებით იათი სამეციცინო

მომსახურებაც ფუფუნების საგანია. ჯანდაცვის მომსახურების შესყიდვა არ უნდა იყოს ფუფუნების საგანი, ვინაიდან სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა თითოეული მოქალაქის კონსტიტუციური უფლებაა.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ დონორი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევებით, საქართველოს მოსახლეობის გალატაჟების ერთ-ერთ მთავარ მიზანად დასახელდა პიროვნებისა და მისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობის უცარი გაუარესება, რადგან ავადმყოფის მოელოდნელი ჰოსპიტალიზაცია დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

მოსახლეობის ამ ყაფეგორიის ჯანდაცვის პრიბლემების გადასაჭრელად მთავრობამ შეიმუშავა სპეციალური ტონისძიებები, რომლებმაც მოსახლეობის ყველაზე დაუცველი ფენებისათვის ჯანდაცვის ხელმისაწვდომობასა და ხარისხის ამაღლებას უნდა შეეწყონ ხელი. კერძოდ, მოქმედებაში შევიდა „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამა“, რომელიც დაახლოებით 700 ათას ადამიანს უნდა მოემსახუროს.

ჯანდაცვის რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილია არსებული სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამების ეტაპობრივი ჩანაცვლება საფაზოვევო პროცესებით, რაც მოსახლეობისთვის სამედიცინო პროცესების პირდაპირი შესყიდვის ნაცვლად, საფაზოვევო პროცესების შესყიდვას გულისხმობს.

არსებობს სფეროები, რომელსაც კერძო ბაზარი სახელმწიფოს ჩარევის გარეშე თავად არეგულირებს. ჯანდაცვის სფერო ის ბაზარია, რომლის ფუნქციონირებაშიც სახელმწიფო ორი მთავარი მიზეზის გამო ერევა, როდესაც (1) ჯანდაცვის მომსახურების მომხმარებელს (პაციენტს) ხშირ შემთხვევაში არასაკარისი ინფორმაცია აქვს შესაძენი მომსახურების შესახებ და ამ ინფორმაციის მოსაძიებლად არასაკარისი დრო აქვს. (2) ჯანდაცვიაზე დანახარჯი იმდენად მაღალია, რომ მომსახურების შემსყიდველისთვის (პაციენტისთვის) მისი დაფუარვა საკუთარი ჯიბიდან ფაქტიურად შეეძლებელია.

საქართველოში ჯანმრთელობის მომსახურების შესყიდვაზე მოსახლეობა სოლიდურ თანხებს ხარჯავს. დღეისათვის, კერძო ფორმალური და არაფორმალური გადასახადები (ჯიბიდან გადახდის (out of pocket payment) დანახარჯები) საქართველოში შეადგენს ჯანდაცვის დანახარჯების დაახლოებით 80%-ს. ჯანდაცვის მომსახურების შესყიდვაზე განეულმა დანახარჯებმა, შესაძლებელია ოჯახის გადატაჟებაც კი გამოიწვიოს.

სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სპეციალური კვლევის თანახმად (იხილეთ გაზეთი “24 საათი” 19.11. 2007) მიმდინარე წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 5 მილიარდ 115 მილიონ 147 ათასი ლარიდან დაახლოებით

მილიარდ 200 მილიონ ლარზე მეტით დაფინანსდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის სფერო. ამ თანხიდან დახმარებით 200 მილიონი ლარი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას მოხმარდა, სტატისტიკის დეპარტამენტის კვლევის მასალებით (მონაცემები ოფიციალურად ჯერ კიდევ არ არის გამოცხადებული) მოსახლეობის დანახარჯების სტრუქტურა ასეთია: წამლები – 403 ათას 123 ლარი (49%), საავტომუოთო – 279 ათას 718 ლარი (34%), ამბულატორია – 139 ათას 859 ლარი (17%), სულ 822 ათას 700 ლარი (100%).

საერთოდ, ჯანდაცვის ბაზარი არასრულყოფილია და მოითხოვს სახელმწიფოს ჩარევას, სახელმწიფოს როლი ჯანდაცვაში მსოფლიოში ვარირებს სრული დომინირებიდან (ინგლისი, სკანდინავია, კანადა, ყოფილი საბჭოობა კავშირი) მინიმალურ ჩარევამდე (შვეიცარია, გარდამავალი ეკონომიკის და განვითარებადი ქვეყნების ნაწილი, მათ შორის საქართველო).

არ არსებობს უფასო ჯანდაცვა, სისტემის დაფინანსება ხდება ან გადასახადებით ან პირდაპირი მომსახურების მიღებისას.

ჯანდაცვის დაფინანსების ძირითადი წყაროებია: გადასახადები (სავალდებულო), საცაზლვევო შენატანები (სოციალური დახმარების სისტემაში – სავალდებულო, კერძო საცაზლვევო სისტემაში – ნებაყოფილობითი); პირდაპირი კერძო (ჯიბიდან) დანახარჯები – ნებაყოფილობითი (არაფორმალური); სახელმწიფო ბიუჯეტის დანახარჯები (დაახლოებით 200 მილიონი ლარი). საქართველოში ჯანდაცვაზე და სოციალურ პროგრამებზე მთლიანი ეროვნული დანახარჯებიდან (დაახლოებით 1 მილიარდი ლარი 2007 წელს) მოსახლეობის მიერ „ჯიბიდან“ გაღებული თანხა (ზემოთ მოხსენიებული კვლევის თანახმად) 160 მილიონ ლარს აღწევს.

არსებული სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად მთავრობამ სათანადო პროგრამა შეიმუშავა. ჯანდაცვის რეფორმა 2007 წელს შემდეგ მიმართულებებს მოიცავს: საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის განვითარების გენერალური გეგმა; სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების პროგრამა; სამედიცინო დახმარების განვითარების სამთავრობო გეგმა; წამლის ეროვნული პოლიტიკა; საქართველოს ჯანდაცვის სექტორში საქადრო პოლიტიკის პრიორიტეტები; მიმართულებები; კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ.

საქართველოს მთავრობამ ქვეყანაში სიღარიბის დონის შესამცირებლად აირჩია სტრატეგია, რომელიც გულისხმობს მოსახლეობის უკიდურესად ღარიბი ფენისათვის ჯანდაცვის ძირითადი ხარჯების დაფინანსებას სახელმწიფოს მხრიდან, რისთვისაც შემუშავდა “სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების” სახელმწიფო პროგრამა. აღნიშნული პროგრამის ეფექტიანობის

ანალიზი, როგორც ალვნიშნეთ, წინამდებარე ანგარიშის მთავარ მიზანს წარმოადგენს. თუმცა სანამ უშეალოდ პროგრამის ანალიზზე გადავიდოდეთ, მნიშვნელოვნად მიგვაჩინია მიმოვიხილოთ ქვეყანაში სილრიბის დონის ოფიციალური სტატისტიკური მაჩვენებლები და ასევე სახელმწიფო დაფინანსებით მიმდინარე პროგრამების კავშირი სილარიბის დონის შემცირებასთან.

## სილარიბის დონე

საქართველოსთვის სილარიბე სოციალურ პრობლემათაგან ყველაზე მნვავედ შეიძლება ჩაითვალოს. 2003 წლის მონაცემებით სილარიბის ზოვანის ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობა 54%-ს აღემატებოდა. 2005 წელს საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდიების ცვლილებამ გავლენა მოახდინა სილარიბის ინდიკატორებზე და სილარიბის დონის ჰარამეტრებზე.

თუ ადრე სილარიბის ინდიკატორების გამოთვლისას დაკირვების ერთეულს შინამეურნეობა წარმოადგენდა, ახალი მიდგომისას დაკირვების ერთეული ინდივიდია. თუ ადრე სილარიბის დონეც ითვლებოდა ლარიბ შინამეურნეობათა ხვედრითი წილი ყველა შინამეურნეობაში, ახალი მიდგომით იგი განისაზღვრება, როგორც ლარიბი მოსახლეობის ხვედრითი წილი მთელს მოსახლეობაში. 2005 წლამდე საარსებო მინიმუმის გაანგარიშება ხდებოდა ნორმატიულ-სტატისტიკური მეთოდით და ეფუძნებოდა 1992 წელს დადგენილი მინიმალური სასურსათო კალათის შემადგენლობას, რომელიც ითვალისწინებლა დღეში 2500 კილოკალორიის მიღებას. 2005 წლიდან საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდიების ცვლილება ეფუძნება მოსახლეობის ფაქტობრივ მინიმალურ მოხმარებას. გაანგარიშების მეთოდიების ცვლილების შედეგად, საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი 138 ლარიდან 84 ლარამდე შემცირდა.

როგორც ალვნიშნეთ, საქართველოში სილარიბის ოფიციალური ინდიკატორების გამოსათვლელად გამოყენებული კეთილდღეობის მაჩვენებელი წარმოადგენს შინამეურნეობის ერთ ეკვივალენტურ მოზრდილზე გათვლილ სამომხმარებლო ხარჯებს და ეს მაჩვენებელი მიენიჭება როგორც მთელს შინამეურნეობას, ისე მის თითოეულ წევრის. რაც შეეხება სილარიბის ზოვანს, ოფიციალური ინდიკატორების გამოსათვლელად აიღება სილარიბის ოფიციალური ზოვარი, ანუ „საარსებო მინიმუმი“.

სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ გადაანგარიშდა 2004 წლის სილარიბის დონე, ხოლო 2005 წლის შესაბამისი მაჩვენებლები გაანგარიშებული იქნა სილარიბის განახლებული ზოვრის (ანუ საარსებო მინიმუმის) მიმართ. 2004 წლისათვის სილარიბის დონემ 35,7%, ხოლო 2005 წლისათვის 35,5% შეაღვინა. სტატისტიკური

სიღარიბის დონის კლების მიუხედავად, სიღარიბის დონე, სიღრმე და სიმწვავე ქვეყანაში სამწესაროდ კვლავაც ერთ-ერთი უპირველესი პრობლემაა.

ქვეყანაში სიღარიბის გამომწვევ ძირითად მიზანს უმუშევრობა წარმოადგენს, შესაბამისად, პრობლემის დაძლევა მისი გამომწვევი მიზეზების დაძლევის გარეშე შეუძლებელია. ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება, ახალი სამუშაო აფგილების შექმნა ქვეყანაში სიღარიბის დონის შემცირების პირდაპირპროპორციულია. ასევე მნიშვნელოვანია ერთიანი ეფექტური სოციალური პოლიტიკის შემუშავება.

### **სიღარიბის ზღარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების პროგრამა**

მთავრობამ 2005 წელს მიიღო დადგენილება (№ 51) “ქვეყანაში სიღარაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ”. დადგენილების მთავარი მიზანი სიღარიბის დონის შემცირებასთან ერთად სოციალური დახმარებების მიზანმიმართულად და ეფექტურად განხორციელებაა. სიღარიბის შემცირება/დაძლევა და მოსახლეობის სოციალური დაცვა საქართველოს მთავრობის 2007-2010 წლების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის (Basic Data and Directions) ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ეს მიზანი ჩატებული იყო ასევე 2005 წელს საერთაშორისო სავალუარო ფონდის მიერ ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის სტრატეგიაში (Economic Development and Poverty Reduction Strategy), საქართველოს ეროვნულ ანტიორუფციულ სტრატეგიში, ათასწლეულის განვითარების მიზნებში (Millennium Development Goals), ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაში (European Neighbourhood Policy Action Plan) და ა.შ. სიღარიბის დაძლევის მიზნით საქართველოსათვის გაწეული დახმარების მიუხედავად, პრობლემა კვლავაც მწვაველ ფგას და სიღარიბის შემცირებისკენ გადადგმული ნაბიჯები ხშირ შემთხვევაში არაეფექტურად ხორციელდება.

საქართველოს მთავრობის 2007-10 ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი რეფორმების განხორციელების შეცემალ შემცირებული უკიდურესი სიღარიბება. “სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების პროგრამის” წარმატებულმა განხორციელებამ უნდა “შეამციროს მოსახლეობის ამ ნაწილის სიღარიბის სიღრმე და სიმწვავე” (საქართველოს მთავრობის 10/01/07 დადგენილება 2, დანართი 3).

ვინაიდან ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა ფლეს ქვეყნის ერთ-ერთ პრონოიაზეად არის მიჩნეული, ამ კუთხით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიერთება სოლიდური თანხები. სახარჯო პოლიტიკის კუთხით, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროსაც მიმართული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები 2007 წელს პირველ ადგილზე იყო 999,718 მილიონი ლარით (ბიუჯეტის პროექტში ცვლილებებამცე), და მეორე ადგილზე 2006 წლის ბიუჯეტში 775 მილ. ლარით. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების სახელმწიფო ბიუჯეტის დოკუმენტში ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სექტორი თავდაცვის შემდეგ ყველაზე მეტად ფინანსდება, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვისათვის მიმართული ფინანსური რესურსები მაინც არასაკმარისია და ამასთან, არსებული რესურსებიც არაეფექტურად იხარჯება.

საქართველოში სახელმწიფო დაფინანსებით არაერთი პროგრამა მიმდინარეობს ჯანდაცვის, განათლებისა და სხვა სექტორებში. ამ პროგრამებს შორის ერთ-ერთი უმსხვილესი სწორედ “სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამეციცინო დახმარების პროგრამა.” სამწევაროდ, სახელმწიფო პროგრამათა უმრავლესობა იგეგმება წინანასწარი ეკონომიკური ანალიზისა და გათვლების გარეშე. გადაწყვეტილების მიღება ამა თუ იმ სახელმწიფო პროგრამის დაგეგმვა-ალსრულებაზე ხშირ შემთხვევაში პოლიტიკურ ნებაზე უფრო არის დამყარებული, ვიდრე კონკრეტულ ეკონომიკურ ეფექტზე ორიენტირებული, შესაბამისად, ამგვარი პროგრამები თუ ერთჯერადი აქციები, სასურველ შედეგს არ იძლევა. გადაწყვეტილებების დიდი ნაწილი მიღება ცენტრალიზებულად, პოლიტიკურ პროცესებზე და ნებაზე დაყრდნობით და ამ შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული რეალური საჭიროებანი, ანალიზი ეფექტიანობის კუთხით, გრძელვადიანი შედეგი (მაგ. სიღარიბის დონის შემცირება) და ა.შ. ამავდროულად, საჯარო ფინანსების ხარჯვა ხშირ შემთხვევაში შეუსაბამობაშია ხარჯების საშეალოვადიანი დაგეგმვის სისტემასთან (Medium Term Expenditure Framework). მნიშვნელოვანია, რომ ჯანდაცვის სფეროს დაფინანსება და პოლიტიკა შესაბამებოდეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიასაც.

იმისთვის რომ შევათვასოთ პროგრამების და სხვადასხვა სახის ფულადი, სასურსათო თუ სხვა დახმარებების ეფექტიანობა და წარმატება, პირველ რიგში საჭიროა სიღარიბის დონეზე მისი ზემოქმედების განსაზღვრა.

“სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამეციცინო დახმარების პროგრამა” გულისხმობს „სოციალური დახმარებისა და ფასაქმების სახელმისამართისაც“ მიერ რეგისტრირებული ე.წ. უკიდურეს ეკონომიკურ სიღარიბის მყოფი მოსახლეობის აუცილებელი სამეციცინო დახმარებით უზრუნველყოფას. საქართველოში 2003-2005 წლებში მუშაობდა აღნიშნული პროგრამის ალტერნატიული პროგრამა კერძოდ “სოციალურად დაუცველი მოსახლეობის

ინდივიდუალური სამეცნიერო ფახმარების სახელმწიფო პროგრამა”, სადაც ბენეფიციართა რაოდენობა არ იყო განსაზღვრული, რაც ზრდიდა არამიზნობრივად მიმართული ფახმარებების ალბათობას. სწორედ ამ მიზნით აუცილებელი გახდა მიზნობრივი ჯგუფების ფორმირება და შესაბამისად 2006 წლიდან უკვე ფუნქციონირებს ზემოაღნიშნული პროგრამა.

სახელმწიფოს მხრიდან ამ პროგრამის ჩამოყალიბების გრძელვადიანი (long term) მიზანი უნდა იყოს ერთის მხრივ ქვეყანაში სიღარიბის დონის შემცირება, ხოლო მეორეს მხრივ ღარიბი მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის მდომარეობის გაუმჯობესება. კვლევისას მეტად საინტერესოა ამ ორ კომპონენტზე ყურადღების გამახვილება და გამოკვლევა: შემცირდა თუ არა სიღარიბის სიღრმე და სიმწვავე პროგრამის განხორციელების შემდეგ? და მეორე გაუმჯობესდა თუ არა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგრადირება. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ეს პროგრამის განხორციელების საწყის ეტაპზე რთული შესაფასებელია. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაულოდ და გავაანალიზოთ სავარაულო ეკონომიკური და სოციალური ეფექტი, რომელიც ამ პროგრამის განხორციელებამ შეიძლება მოუტანოს ქვეყანას.

### სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის მონაცემთა ბაზის ფორმირება

„სიღარაჟის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგრადირეობის შეფასებისა და მონაცემთა ფორმირების სახელმწიფო პროგრამის“ მიზანია სოციალურად დაუცველი ღარიბი ოჯახების მონაცემთა ბაზის შექმნა მათ სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსზე დაყრდნობით, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავგეგმოთ და განვახორციელოთ როგორც ფულადი, ისე სხვა სახის სოციალური დახმარების პროგრამები.

სოციალური დახმარების პროგრამის ეფექტური ფუნქციონირების ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობაა სწორი არჩევანის გაყეთება დახმარების მიმღებთა (ბენეფიციარები) იდენტიფიკაციისას, განსაკუთრებით ისეთ სიტუაციაში, როდესაც არსებული რესურსები მწირია, ხოლო სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის ხვედრითი წილი კი საკმაოდ დიდი.

სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტომ დაიწყო პროგრამაზე მუშაობა „ქვეყანაში სიღარაჟის ღონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ (17.03.05) და „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური

მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" (4.08.05) მთავრობის დადგენილებათა შესაბამისად.

მონაცემთა ბაზის შექმნა ითვალისწინებლა შემდეგ ეტაპებს: მაძიებელი ოჯახის განაცხადის მიღება, განაცხადის დამუშავება, ოჯახების იდენტიფიცირება მათი მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მიზნით და დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების საფუძველზე, სარეიტინგო ქულის მინიჭება.

მეთოდოლოგიის ძირითადი მახასიათებლებია:

- სარეიტინგო ქულის გაანგარიშება (ე.წ. კეთილდღეობის ინდექსი), რომელიც შესაბამება ოჯახის ყეთილდღეობის დონეს, დადგენილი წესის შესაბამისად; ;
- ოჯახის ყეთილდღეობის ინდექსის გამოთვლის პროცედურა ეფუძნება სოციალური აგენტის მიერ შევსებული კითხვარის შედეგებს;
- კითხვარის თითოეულ ინდიკატორს ენიჭება შესაბამისი წონა – სიღილე, ოჯახის ყეთილდღეობის ინდექსზე ეფექტის მოხდენის მიხედვით;
- ოჯახის ყეთილდღეობის ინდექსის მიხედვით შესაძლებელია ოჯახების რანჟირება სიღარიბის დონის მიხედვით.

### სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამაციცინო დახმარების პროგრამის მონიტორინგი" - 2006 წლი

2003-2005 წლებში საქართველოში ხორციელდებოდა „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ინდივიდუალური სამეცნიერო დახმარების სახელმწიფო პროგრამა“, რომლის დროსაც არ იყო განსაზღვრული ბენეფიციართა დაახლოებითი კონტიგენტი, რაც ზრდითა არამიზნობრივად და გაუმჯვირვალედ მიმართულ დახმარებათა ალბათობას. სწორედ ამ მიზნით, აუცილებელი გახდა მიზნობრივი ჯეფების მონაცემთა ბაზის ფორმირება. შესაბამისად, 2006 წლის ივლისში დაწყებული „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამეცნიერო დახმარების პროგრამა“ „სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს“ მიერ რეგისტრირებული ე.წ. უკიდურეს ეკონომიკურ სიდუხჭირეში მყოფი მოსახლეობის აუცილებელი სამეცნიერო დახმარებით უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

2006 წლის ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამეცნიერო დახმარების“ კომპონენტის ბიუჯეტი 18 მლნ ლარით განისაზღვრა. პროგრამა 2006 წლის ივლისიდან დაიწყო და ამ პერიოდისათვის საქართველოს სოციალური დახმარების ერთიანი სახელმწიფო ფონდის

ინფორმაციით, მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული იყო 865 998 ბენეფიციარი, რომელთაგანაც 2006 წლის ბოლომდე, სამეცნიერო მომსახურებით ისარგებლა 385 408 მოქალაქემ. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავდა:

- სამეანო დახმარებას;
- ამბელატორიულ მომსახურებას;
- გეგმიურ სტაციონარულ მომსახურებას მათ შორის წინასაოპერაციო გამოკლევებს, კომპიუტერულ ტომოგრაფიას, მაგნიტოინტუს ტომოგრაფიას;
- მწვავე ჰოსპიტალური შემთხვევების მურნალობას;
- თანაგადახდას ყველა სხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში;

რეგიონების მიხედვით ალნიშნული ნოზოლოგიები გადანაწილდა შემდეგი ცხრილი №1-ის შესაბამისად:

**სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამეცნიერების პროგრამის ფარგლებში სტატისტიკური მონაცემები რეგიონების მიხედვით 2006 წელი ივლისი-დეკემბერი**

№	რეგიონი	ბენეფიციართა რაოდენობა	ამბელატორიული ვიზიტების რაოდენობა	მწვავე ჰოსპიტალური შემთხვევების რაოდენობა	გეგმიური სტაციონარული დახმარება	სამეანო დახმარების შემთხვევათა რაოდენობა	მათ შორის მშობიარობების შემთხვევათა რაოდენობა „უფასო მშობიარობის ბარათით“
1	თბილისი	88897	64536	4692	11604	6085	379
2	იმერეთი	157482	68002	2769	921	4197	256
3	სამეგრელო-ზემო სვანეთი	116553	40176	2102	120	1382	1030
4	აჭარა	101415	28897	1966	294	2802	325
5	გურია	37162	17483	442	218	832	109
6	რაჭა-ლეჩხუმი-ჯ. სვანეთი	21826	3301	578	9	62	17
7	ქვემო ქართლი	90978	24453	729	48	3024	223
8	შიდა ქართლი	70494	22817	1357	94	1076	298
9	ყახეთი	98271	34540	1632	261	1991	124
10	მცხეთა-მთიანეთი	36354	9798	369		271	226
11	სამცხე-ჯავახეთი	46566	14770	579	78	958	106

**წყარო: სოციალური დახმარების ერთიანი სახელმწიფო ფონდი**

2006 წელს „სიღარიბის ზოვანს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დახმარება” მოიცავდა: ამბულატორიულ დახმარებას „ამბულატორიული დახმარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში” და „გეგმიურ სტაციონარულ სამედიცინო დახმარებას”, რომელიც საკუმაოდ მოცულობითი იყო. მიუხედავად ამისა, იყო მთელი რიგი პრობლემები ე.წ. „მწვავე ჰოსპიტალური” ნოზოლოგიების (ნოზოლოგიები, რომლებიც არ შედის არც ურგენტულ და არც გეგმიურ სტაციონარულ დახმარებაში. მაგ. გასტროენტეროლოგიური ზოგიერთი დაავალება და.ა.შ.) მეურნალობისა და დაფინანსების თვალსაზრისით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატორი ინფორმაციის თანახმად, 2006 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს სოციალური დახმარების ერთიანი სახელმწიფო ფონდის, „სიღარიბის ზოვანს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების კომპონენტის” დაფინანსებისათვის დაიხარჯა 15,362,185.92 ლარი.

იმის გამო, რომ ეს პროგრამა საკუმაოდ მოკლევადიანი იყო 2006 წელს, ძირითადად შემოვითარებით იმ პრობლემების წარმოჩენით, რომელიც 2006 წლის პროგრამის მიმდინარეობისას გამოიკვეთა და რომლებიც დროულ გადაჭრას და მათი გამოსწორებისათვის ეფექტური ნაბიჯების გადადგმას ითხოვს:

- აუცილებელია მოხდეს იმ ეკონომიკური ფაქტორების გაანალიზება, რომელთა მიხედვითაც ამგვარი პროგრამები უნდა დაიგეგმოს, და რასაც ხშირ შემთხვევაში უგულებელყოფენ და არ ითვალისწინებენ სახელმწიფო პროგრამების შემუშავებისას. მაგალითად, პროგრამის ფარგლებში 2006 წლის ივლისიდან დეკემბრამდე (6 თვე) სახელმწიფო ბიუჯეტი გაწერილი იყო 18 მილიონი ლარი 6 თვეზე. 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი საწყის ეტაპზე მოხდა ამ თანხის ავტომატურად გადატანა, რაც 12 თვეზე 36 მილიონ ლარს შეადგენდა. მოვარანებით პროგრამის დაფინანსება 36 მლნ ლარიდან დაახლოებით 43 მლნ ლარამდე გაიზარდა. ეს ნათელი მაგალითია იმისა, პროგრამის დაგეგმვისას არ იქნა გათვალისწინებული 2007 წლის ინფლაციის მაჩვენებელი 2006 წელთან შედარებით და ამ პროგრამის დაფინანსებაც 2007 წელს შესაბამისად, ამის გათვალისწინების გარეშე დაიგეგმა.
- ყველაზე მეტად გაუმართავი იყო ბენეფიციართა (მოსახლეობის) ინფორმირების სისტემა. ცნობილია, რომ სიღარიბის ზოვანს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა, ეს ის კონტიგენტია, რომელთათვისაც თითქმის მიუწვდომელია საინფორმაციო საშუალებები. აუცილებელია ინდივიდუალურად მოხდეს თითოეული მათგანის ინფორმირება საკუთარი უფლებების შესახებ;
- ასევე საკუმაოდ გართულებული იყო ბენეფიციარებისათვის პროგრამით გათვალისწინებული გეგმიური სამედიცინო დახმარების მიღების სქემა. აღნიშნული სქემა თბილისის მოქალაქეებისათვის ამგვარად გამოიყერებოდა:

ბენეფიციარი - პოლიკლინიკა (რეგისტრაციის მიხედვით) – სოციალური დახმარების ერთიანი სახელმწიფო ფონდი-კომისია-პოლიკინიკა-ბენეფიციარი-სტაციონარი. კიდევ უფრო რთულია რეგიონებსა და რაიონებში მცხოვრები მოქალაქისათვის: ბენეფიციარი -პოლიკლინიკა (რეგისტრაციის მიხედვით)-ფონდის რეგიონალური ფილიალი – ფონდის ცენტრალური ოფისი-კომისია-ფონდის რეგიონალური ფილიალი – პოლიკლინიკა – ბენეფიციარი – სტაციონარი (ან თბილისში ან რეგიონალურ საავტომუნიტოში). კიდევ უფრო რთულია თბილისში დროებით მცხოვრები ბენეფიციარებისათვის, რომლებიც რეგისტრირებული არიან რაიონებში. ასეთი ცენტრალიზებული ინფრასტრუქტურა ძალიან რთულს ხდის ბენეფიციარებისათვის მიიღოს კანონით გათვალისწინებული სამეციცინო დახმარების სერვისი.

- რეგიონებში და შესაბამისად რაიონებშიც ძალიან ცუდად არის განვითარებული ოჯახის ექიმის ამბულატორიული დახმარების ინსტიტუტი, რაც კიდევ უფრო ართულებს ზემოაღნიშნული სქემით მუშაობას.
- აუცილებელია მოსახლეობის რეგისტრაცია მონაცემთა ბაზაში იყოს უფრო გამჭვირვალე, სარეგისტრაციო ქელების გრადაციის მიხედვით და ამის შესაბამისად ხდებოდეს სხვადასხვა მოცულობის სადაზღვეო პაკეტის შემუშავება. სილარიბის ზოვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამეციცინო დახმარების პროგრამა უნდა მოიცავდეს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის სხვა კომპონენტებით გათვალისწინებული თანაგადახდას, გეგმიურ სტაციონარულ დახმარებას. ამბულატორიულ სამეციცინო დახმარებას უფრო მოცულობითს და პრევენციულს, მედიკამენტებით უზრუნველყოფას ყველაზე ხშირი ქრონიკული დაავადებების დროს მაინც.
- მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს ფართო კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ თითოეულ ადამიანს (მდიდარსა თუ ღარიბს) უნდა ჰქონდეს ძირითადი სამეციცინო დახმარების მიღების შესაძლებლობა (ეგალიტარიზმი). ჯანდაცვის სისტემა, ისევე როგორც ყველა სხვა საბიუჯეტო სფერო, დაფინანსებულია გადასახადის გადამხდელთა მიერ. სწორედ ამ სახსრების საშუალებით ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სისტემა უზრუნველყოფს ტარიბათათვის სამეციცინო მომსახურებას. სახელმწიფოს ფაქტიურად არ რჩება სახსრები საშუალო ფენისათვის მსგავსი მომსახურების გასაწევად. ანუ საშუალო ფენა ამ შემთხვევაში არათანასწორ მდგომარეობაშია.

**„სილარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სახელიცინო დახმარების  
პროგრამის მონიტორინგი“ - 2007 წლი**

2007 წლის სილარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამეცნიერო  
დახმარების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება:

- გადაუდებელი ამბულატორიული და ჰოსპიტალური მჯურნალობა;
- გეგმიური ჰოსპიტალური მჯურნალობა;
- მშობიარობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება;
- მოსახლეობის სტაციონარული დახმარების სახელმწიფო პროგრამის ბავშვთა  
სამეცნიერო დახმარების, ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და  
მჯურნალობის და რეფერალური დახმარების კომპონენტით  
გათვალისწინებულ სერვისები.

გარდა ჩამოთვლილისა სილარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა  
მოსარგებლების სხვა დანარჩენი სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამების.

პროგრამის ბიუჯეტი 2007 წელს შეადგენს 43 990.0 ათას ლარს.

2007 წლის აღნიშნული პროგრამის გათვალისწინებით ხელშეკრულება გაუფორმდა  
431 სამეცნიერო დაწესებულებას, გეგმიური სტაციონარული დახმარების პროგრამით  
გაფორმდა 194 კონტრაქტი, აქედან თბილისში 78 კონტრაქტი. ხელშეკრულებები  
გაფორმდა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით.

სილარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამეცნიერო დახმარების  
პროგრამის ფარგლებში 2007 წლის ცხრა თვის განმავლობაში დაფიქსირდა 80 906  
შემთხვევა.

**აღნიშნული პროგრამით კომპონენტებისა და რეგიონების მიხედვით შემთხვევათა  
რაოდენობა მოცემულია ცხრილი №2-ში**

№	რეგიონი	მ.შ.ჰოსპიტალური	მ.შ.გრძელებული	სამეცნიერო დახმარება	მ.შ.მშობიარობა „ჰოსტილისით“	გეგმიური სტაციონარული
1	თბილისი	6438	497	7999	715	3102
2	იმერეთი	4337	318	4628	499	784
3	სამეგრელო-ზ.სვანეთი	3305	610	1914	977	239
4	აჭარა	4253	628	3133	720	232
5	გურია	740	79	678	266	281

6	რაჭა-ლეჩუმი-ქვ.სვანეთი	1075	16	84	30	1041
7	ქვ.ქართლი	866	61	2160	308	63
8	შიდა-ქართლი	2221	546	1802	203	162
9	კახეთი	2922	77	1639	251	546
10	მცხეთა-მთიანეთი	879	68	1178	208	10
11	სამცხე-ჯავახეთი	808	51	1501	199	71

გარდა ცხრილში მოცემული ნოზოლოგიური ჯგუფებისა ადგილი ჰქონდა შემდეგის: ანტირაბიული - 694 შემთხვევა, 15 წლის ზემოთ 2786 შემთხვევა, ონკოლოგია 6860 შემთხვევა. მწვავე ჰოსპიტალურ შემთხვევათა შორის ხშირი ნოზოლოგიები წარმოდგენილია ცხრილი №3-ში.

არასსტაბილური სტენოკარდია	1147
ვირუსული პნევმონია, სხვაგვარაც არაკლასიფიცირებული (საშ. სიმძიმის)	
ვირუსული პნევმონია, სხვაგვარაც არაკლასიფიცირებული (მძიმე)	3461


გეგმიური სტაციონარული დახმარების ქვეყანამშეონენტის გათვალისწინებით 2007 წლის ივნისის თვითდან ჩატარებული ოპერაციათა შედარებით ხშირ ნოზოლოგიათა ჩამონათვალი წარმოდგენილია ცხრილი №4.

კოდი	ნოზოლოგია	შემთხვევათა რაოდენობა
უ01209	კატარაქტა.ოპერაცია ბროლით.	965
უ00102*	ჰრიოლობა,ჰირველაცი ჸირურგ.დახმარება.	558
უ00101*	ამოვარილნილობა,დაუზუსტ.უბნის მოტეხილობა,იმობილიზაცია.	276
უ01008	ენდოპროტეზირება.	237
უ01111	ტონზილექტომია ადგ. ანესთეზიით.	194
უ01799	ონკოჰემატოლოგიური კვლევა.	188

უ01431	უროლოგიური სადიაგნოსტიკო კვლევა.	159
უ01339	ქრ.ტონზილიტი,ადენიტი, უნარქოზოდ.	158
უ01237	ოფთალმოლოგიის დიაგნ.კვლევა.	125
უ01502	საზარდულის, ბარძაყის თიაქარი.	114

2007 წლის იანვარ-სექტემბრის განმავლობაში მოთხოვნილმა თანხამ შეადგინა 21 809 634.13 ლარი, დავალებულმა თანხამ კი 20 435 904.42 ლარი, თვეების მიხედვით აღნიშნული მონაცემები წარმოდგენილია ცხრილი № 5 და გრაფიკი №1-ით.

	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX
მოთხოვნა	1556424.5	1431961.4	1568747.3	1654836.3	1883527.03	2948229.04	3994913.32	4075531.83	2695463.48
დავალება	1529528.3	1404011.2	1523500.5	1622383.7	1782758.96	2805221.05	3911218.59	3936417.01	1920865.08



2007 წლის ივნისის თვიდან მოთხოვნილი და დავალებული თანხის მატება აიხსნება გეგმიური სტაციონარული დახმარების ქვეკომპონენტით გათვალისწინებული ხელშეკრულებების გაფორმებით.

2007 წლის სექტემბრის თვიდან მოთხოვნილი თანხების კლება გამოწვეულია სილარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი თბილისისა და იმერეთის მოსახლეობაზე საფაზღვევო ვაუჩერებისა გადაცემით.

რაც შეეხება საქართველოს მასშტაბით სილარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოქალაქეთა რაოდენობას, თუ 2007 წლის იანვარში აღირიცხა 609 081 ბენეფიციარი,

სექტემბრის თვეში დაზღვეულთა რაოდენობამ შეადგინა 672 963. მათ შორის 71 834 თბილისში, ხოლო 129 227 იმერეთში.

დაწესებულებებიდან შემოსული შესრულებების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ პოლისების გარკვეულმა რაოდენობამ ერთიდაიმავე დაწესებულებაში რამდენჯერმე იმქონილა. მაგალითად;

- 1 შემთხვევა 20 ჯერ მკურნალობის ღვამიჩავას სახ. ონჯოლოგიის ნაციონალურ ცენტრში პოლისით №010103600001/02;
  - 2 შემთხვევა 18 ჯერ მკურნალობის ღვამიჩავას სახ. ონჯოლოგიის ნაციონალურ ცენტრში პოლისით №010302000333/01;
  - 3 2 შემთხვევა 17 ჯერ მკურნალობის ღვამიჩავას სახ. ონჯოლოგიის ნაციონალურ ცენტრში პოლისით №010103600001/02;
  - 4 2 შემთხვევა 16 ჯერ მკურნალობის;
  - 5 1 შემთხვევა 15 ჯერ მკურნალობის;
  - 6 2 შემთხვევა 14 ჯერ მკურნალობის;
  - 7 17 შემთხვევა 13 ჯერ მკურნალობის;
  - 8 9 შემთხვევა 12 ჯერ მკურნალობის. (მ.შ. 1 ჰემატოლ. და ტრანსფ. ინსტიტუტში);
  - 9 18 შემთხვევა 11 ჯერ მკურნალობის. (მ.შ. 1 ჰემატოლ. და ტრანსფ. ინსტიტუტში);
  - 10 17 შემთხვევა 13 ჯერ მკურნალობის;
  - 11 32 შემთხვევა 9 ჯერ მკურნალობის;
  - 12 44 შემთხვევა 8 ჯერ მკურნალობის;
  - 13 61 შემთხვევა 7 ჯერ მკურნალობის;
  - 14 102 შემთხვევა 6 ჯერ მკურნალობის; (თბილისის №4 კლინიკურ საავადმყოფოში, თსსუ ცენტრალურ კლინიკაში, №5 სპე-ში, იმუნოლოგიის სკ ცენტრი).

ზემოაღნიშნული სტატისტიკიდან გამომდინარე აღნიშნიშნული საკითხი მოითხოვს თითოეული ამგვარი შემთხვევის აღვილზე შესწავლას.

2007 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამეცივინო ფახმარების პროგრამის ფარგლებში“ დახარჯულია 13 580 876.51 ლარი.

დღეისათვის, 2007 წლის ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოში სულ დარიგისატრილებულია 672 963 ბენეფიციალი, იხ. ცხრილი № 6.

	ბენეფიციარი	ვაუჩერი
თბილისი	71 834	27 146*
იმერეთი	129 227	47 976*
გურია	33 874	
რაჭა	20 930	
კახეთი	83 400	
მცხეთა-მთიანეთი	25 527	
სამეგრელო-ზემო სვანეთი	99 774	
სამცხე-ჯავახეთი	23 229	
ქვემო ქართლი	53 726	
შიდა ქართლი	58 781	
აჭარა	71 506	
აფხაზეთი	1 211	

\*კერძო სადაზღვევო კომპანიებში დაზღვეულ ბენეფიციართა რაოდენობა

უკვე 2007 წლის სექტემბრიდან, მთავრობის ინიციატივით, ექსპერიმენტის სახით იმერეთსა და თბილისში დარიგისტრირებული ბენეფიციარების სამედიცინო მომსახურება სახელმწიფო კერძო სადაზღვევო კომპანიებისაგან შეისყიდა.

2007 წლის 10 აგვისტოდან ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტომ მთავრობის დადგენილების შესაბამისად, მოამზადა ვაუჩერი - სახელმწიფო სუბსიდირების სააგენტოს მიერ 2007 წლის 1 ივლისამდე თბილისსა და იმერეთის რეგიონში რეგისტრირებული სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ყველა იმ ოჯახისათვის, რომელთა სარეგისტრაციო ქულა შეადგენს ან ნაკლებია 70 000-ზე. დადგენილების შესაბამისად, ჯანდაცვის სამინისტროს ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს 31 აგვისტომდე უნდა უზრუნველეყო ვაუჩერის მიწოდება ბენეფიციარებისათვის. ვაუჩერის მიღების შემდგომ ბენეფიციარებს უფლება ჰქონდათ 31 ოქტომბრამდე თავად აერჩიათ რომელიმე სადაზღვეო კომპანია. შესაბამისად, მიღებულ ვაუჩერს, მისი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გადაცვლიან არჩეული სადაზღვევო კომპანიის სამედიცინო პოლისში. იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარი არ გააკეთებს არჩევანს დათქმულ ვადაში ჯანმრთელობის და სოციალური დახმარების სააგენტო თავად მიაკეთვნებს მათ რომელიმე სადაზღვეო კომპანიას.

2007 წლის 10 აგვისტოს ჯანმრთელობის და სოციალური პროგრამების სააგენტომ დაიწყო ვაუჩერების დარიგება, თბილისელი ბენეფიციარი უნდა მისულიყვნენ საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის მიხედვით სააგენტო მიერ შერჩეულ

პოლიკლინიკაში. მოსახლეობის ინფორმირება დაევალა თბილისში „პოლიკლინიკებს”, ხოლო იმერეთში სოფლის ამბულატორიებს. მაგ: გლდანინაძალადევის რაიონში მცხოვრები ყველა ბენეფიციარი ვაუჩერს მიიღებდა გლდანში 31 პოლიკლინიკაში, ვაკე-საბურთალოს რაიონში ვ. ფშაველას გამზირზე | სამ.პროფ.ცენტრში ყველა დევნილი ავჭალაში ერთ-ერთ პოლიკლინიკაში და ა.შ. ხოლო იმერეთში რაიონების მიხელვით (შეჩერები იყო სკოლები) 10-15 აგვისტომდე სამტრედია, ხონი, ვანი 15-20 აგვისტომდე ხარაგაული, ზესტაფონი, ტყიბული 20-25 აგვისტომდე თერჯოლა, ჭიათურა. საჩერის რაიონს სადაზღვეო კომპანია „ქართუ“ მოემსახურება მონოპოლიური პრინციპით.

ვაუჩერების დარიგებას უზრუნველყოფილები ჯანმრთელობის და სოციალური პროგრამების სააგენტოს თანამშრომლები, რომლებსაც კატეგორიულად ეკრძალებოდათ გაერიათ ბენეფიციარისათვის რეკომენდაცია რომელიმე სადაზღვეო კომპანიის მომსახურების თაობაზე. თავის მხრივ სადაზღვეო კომპანიის აგენტებს ეკრძალებოდათ პოლიკლინიკის ან სკოლის შენობის შიგნით შესვლა.

სადაზღვეო კომპანიებმა განსაკუთრებით იმერეთის რეგიონში ისარგებლეს მოსახლეობის ინფორმირების დაბალი დონით და დაიწყეს ე.წ. „ვაჭრობა“ ვაუჩერებზე. სადაზღვეო კომპანიების აგენტები სოფლებში აგროვებდნენ ბენეფიციარებს და ავტობუსებით ჩაჰვავდათ რაიონულ ცენტრებში ვაუჩერის მისალებად, სანაცვლოდ მიღებულ ვაუჩერში ბენეფიციარებს სთავაზობდნენ მატერიალურ ანაზღაურებას (5-დან 20 ლარამდე 1 ვაუჩერზე), კვების პროდუქტებს. (შაქარი, ფქვილი) ასევე, აფგილობრივი ტალევიზით დაიწყო რეკლამირება ვაუჩერებით ლატარიის გათამაშების შესახებ. შენობიდან გამოსულ „ვაუჩერიან“ ბენეფიციარს „თავს ესხმოდნენ“ სადაზღვეო კომპანიების აგენტები და იქვე აღვილზე „საველე პირობებში“ უფორმებდნენ ხელშეკრულებებს და აძლევდნენ დაპირებულ ანაზღაურებას ვაუჩერის სანაცვლოდ. უკვე „დაზღვეული“ ბენეფიციარის 90%-ს არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდათ „არჩეული“ სადაზღვეო კომპანიის თუნდაც საბაზისო სადაზღვეო პაკეტის ან კონტრაქტორი სამეციცინო დაწესებულების შესახებ. ხშირ შემთხვევაში უკვე „ვაუჩერჩამორთმეული“ ბენეფიციარი ყვლავ მიმართავდა საგენტოს ვაუჩერისათვის, და იმის გასარჩევად თუ როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ მიეღო კუთვნილი სამეციცინო მომსახურება.

შექმნილი ქაოსის გამო, რადგანაც აფგილი ჰქონდა ბენეფიციარებთა უფლებების მასიურ დარღვევებს და ისინი თითქმის კარგავდნენ თავისუფალი არჩევნის უფლებას, 15 აგვისტოს ჯანმრთელობის და სოციალური პროგრამების საგენტო იძულებული გახდა შეეწყიტა ვაუჩერების დარიგება, როგორც თბილისში ასევე ქუთაისში. ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ვაუჩერები დასარიგებლად გადაეცა მმართველ პარტიას, „ნაციონალურ მოძრაობას“, რომელთა აქტივისტები უზრუნველყოფნენ

ვაუჩერებისა და საინფორმაციო ბუღეტების მიწოდებას ბენეფიციარებისათვის რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამ არაეთიკური ქმედების გამო, კერძო სატაზლვეოებსა და შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რაც ავალდებულებს სატაზლვეო კომპანიებს აღარ მიმართონ ვაუჩერის მოპოვების არაეთიკურ ხერხებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სატაზლვეო სისტემის დანერგვა და განვითარება უმნიშვნელოვანესი პროცესია. შექმნილმა სიტყაციამ ცხადყო რომ ასეთი პრინციპით გადასვლა კერძო სატაზლვეო სისტემაზე ნაადრევი აღმოჩნდა, პირველ რიგში, ამისათვის მზად თავად სატაზლვეო კომპანიები არ აღმოჩნდნენ.

ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ბენეფიციარები მიეკუთვნებიან სოციალურად დაუცველ ფენას, არ არიან საქართველოს ინფორმირებული საქართველოს უფლებებში და ხშირ შემთხვევაში უჭირთ არჩევნის გაყეთება.

### როგორ მუშაობენ კერძო სატაზლვეო კომპანიები?

**სატაზლვეო კომპანია „ალტაგი – BCI“** - სილარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამეცივინო დახმარების პროგრამის ფარგლებში სატაზლვეო კომპანიამ იმერეთის რეგიონსა და თბილისში მცხოვრები პროგრამაში ჩართული მოსახლეობის 36,5% დააზღვია (რაც 56 660 ადამიანს შეადგენს).

პროგრამის დაწყებილან ა.წ. 10 ოქტომბრის ჩათვლით, სატაზლვეო კომპანიის ინფორმაციით, სატაზლვეო კომპანია „ალტაგი-BCI-მ 358 ურგენტული შემთხვევა აანაზღაურა, რაც შეეხება გეგმიურ ოპერაციებს, ჩვეულებრივი პროცედურების გავლის შემფროვა კუთხით და დაფინანსების მხრივ პრობლემები არ იქმნება. რაც შეეხება ვალებს, როგორც სატაზლვეო კომპანია განმარტავს, დაზღვეულ ბენეფიციარს მაქსიმუმ ორი თვის განმავლობაში უტარდება მისთვის საჭირო გეგმიური ოპერაცია.

**სატაზლვეო კომპანია „GPI პოლინგი“** - 2007 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, „ჯი-პი-აი პოლინგში“ დაზღვეულთა რაოდენობა შეადგენს 59 254 ადამიანს. კომპანიამ ურგენტული შემთხვევების დაფინანსება 1 სექტემბრიდან დაიწყო და უკვე 200-ზე მეტი გადაუდებელი სამეცივინო დახმარება აანაზღაურა. რაც შეეხება გეგმიურ ოპერაციებს, ეს მომსახურებაც დაწყებულია. ყოველდღიურად არაერთი ადამიანი მიმართავს სატაზლვეო კომპანიებს საგარანტიო წერილით გეგმიურ ოპერაციებზე. როგორც თბილისში, ასევე იმერეთში უკვე გაცემულია ამგვარი საგარანტიო წერილები, დაახლოებით 400 000 ლარის ლირებულების. ჯი-პი-აის პოლისით უკვე 550-მდე დაზღვეულმა თბილისისისა და იმერეთის 40 სხვადასხვა სამეცივინო

დაწესებულებაში ჩაიტარა გეგმიური მკურნალობა. რაც შეეხება ამბულატორიულ მკურნალობას, 6000-ზე მეტ ადამიანს აუნაზღაურდა სხვადასხვა ტიპის ამბულატორიული მკურნალობის საფასური.

დაზღვევის საერთაშორისო კომპანია „ირაო“ – კომპანია „ირაოს“ მიერ 2007 წლის სექტემბერში თბილისისა და იმერეთის რეგიონში დაფინასდა 90-მდე გადაუდებელი სტაციონარული შემთხვევა, კომპანიაში შევიდა 80 მდე განცხადება გეგმიური ოპერაციის ჩატარების მოთხოვნით, რომელთა ნაწილიც სექტემბრის თვეში დაფინანსდა. ჩატარდა რესურსტევადი დიაგნოსტიკური გამოკვლევა, მიიღეს 10 მშობიარე, ქიმიოთერაპიულ კურსს იტარებს 11 ჰაციენტი.

ამბულატორიულ მომსახურებაზე კომპანიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება თბილისისა და იმერეთის რეგიონის პირველადი ჯანდაცვის ყველა დაწესებულებასთან.

სადაზღვევო კომპანია „სახალხო დაზღვევა“ - 12 სექტემბრის მონაცემებით, იმერეთისა და თბილისის მასსტაბით „სახალხო დაზღვევაში“ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დამარჯების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 23 000 ბენეფიციარია. დარეგისტრირდა 380 სამედიცინო სარჩელი, აქედან, 150 ურგენტული შემთხვევის, დანარჩენი 230 გეგმიურის. გეგმიური სამედიცინო სარჩელების ნაწილი დიაგნოსტიკას (ნინასაოპერაციო და დიაგნოზის სავერიფიკაციო კვლევები), ნაწილი კი ოპერაციებს ეხება. გეგმიური ოპერაციებიდან 40 უკვე დაიგეგმა და ჩატარდა.

2007 წლის ნოემბრის ინფორმაციით, დღეისათვის თბილისისა და იმერეთის მონაცემებით, სადაზღვევო კომპანიების სასარგებლოდ არჩევანი უკვე გაკეთებული ჰქონდა 69 462 უმრეო ოჯახს, რაც თითქმის 187 822 ფიზიურ პირს შეადგენს.

კომპანია	გადანაწილებული ვაუჩერები			ნოემბერი სულ		
	ფიზ. პირი	ოჯახი	თანხა	ფიზ. პირი	ოჯახი	თანხა
BCI	3349	1387	24137.80	64933	23869	466970.69
GPI	3371	1550	24322.60	65606	24849	472058.17
IRAO	1496	638	10774.72	28721	9950	206290.04
სახალხო	1417	581	10191.08	28562	10794	205034.00
ჯამი	9633	4156	69426.20109	187822	69462	1350352.901

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 2008 წლიდან მთელს საქართველოში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევას სახელმწიფო კურსო სადაზღვევო კოპანიებიდან შეისყიდის

## სერვისის მიმღებალი ორგანიზაციების პლაკის შედეგები

„სილარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამეცნიერო დამარჯის სახელმწიფო პროგრამის“ მონიტორინგის პროექტის ფარგლებში ფონდმა “ორ საზოგადოება საქართველომ” ჩაატარა სერვისპროვაილერების (სამეცნიერო დაწესებულებების) გამოიკითხვა. გამოიკითხა ჯანდაცვის დაწესებულების 100-მდე წარმომადგენელი. სერვისპროვაილერებისათვის მომზადებული კითხვარის ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი:

ძირითადი პრობლემები იყვეთება ამბულატორიულ რგოლში, პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარების ყველაზე დიდი მიმართვიანობა არის ამ მიმართულებით და მათ პროგრამა ავალდებულების ბენეფიციარს გაუწიოს მომსახურეობა მიზერული ანაზღაურების პირობებში და ხშირ შემთხვევაში თითქმის უფასოდ. 2006 წლის პროგრამის ფარგლებში სავალდებულო იყო 3 ვიზიტი ბინაზე და თითოეულ ვიზიტზე ანაზღაურება შეადგენდა 0.40 ლარს. ამბულატორიულ ინსტრუმენტალურითარიული დროის განვითარების უკიდურესი კადერი 2006 წლის მიზერული თანხას ანაზილებს ამბულატორიის ხელმძღვანელი ამბულატორიული პროგრამით განსაზღვრული სპეციალისტების ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენდა 144 ლარს. ხოლო საშუალო და უმცროსი მედ. პერსონალის ხელფასი არ იყო გათვალისწინებული, მაშინ როცა მათზე პირველადი და ყველაზე დიდი დატვირთვა მოდის.

ასე რომ, ამბულატორიის ხელმძღვანელები კითხვარის შევსებისას პროგრამის ძირითად პრობლემად და ხარვეზად ასახელებენ მწირ ბიუჯეტს. თითქმის ყველა გამოკითხული საჭიროდ თვლის უკვე რეგისტრირებული ბენეფიციარების „სილარიბის ზღვარის“ გადამოწმებას, რადგან კარგად იციან მათთან რეგისტრირებული ბენეფიციარების სოციალური მდგომარეობა და ხშირ შემთხვევაში ბენეფიციარის სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე ისინი არ თვლიან მოქალაქეს „სილარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფად“.

რაც შეეხება სტაციონარული სერვისპროვაილერების ხელმძღვანელების მიერ შევსებული კითხვარების ანალიზს, აქ გამოიკვეთა შემდეგი: ძირითადი პრობლემა არის გართულებული ბიუროკრატიული სქემა გეგმიური სტაციონარული მომსახურების მისაღებად. ბენეფიციარმა უნდა მიმართოს ამბულატორიას და მათ მიერ დასმელი დიაგნოზით გადის დათინანსების საკითხი „კომისიაზე“ და შემდეგ მიდის ბენეფიციარი სტაციონარში, სადაც შეიძლება აღნიშნული დიაგნოზი არ დადასტურდეს და ბენეფიციარი საჭიროებლეს აბსოლუტურად სხვა ჩარევას და საკითხი თავიდან უნდა განიხილოს „კომისიამ“. უფრო რთული შემთხვევაა როცა ბენეფიციარი არის რაიონიდან.

პრობლემურია ასევე ისეთი შემთხვევები, როდესაც კლინიკას მიმართავენ პაციენტები ისეთი დაავალებებით რომელიც საჭიროებს სტაციონარულ თერაპიულ მჯერნალობას, (მაგ გულის იშემიური დაავალება, მწვავე გასტრიტის, ლვიძლის უკმარისობა და ა.შ) რის ანაზღაურებასაც პროგრამა არ ითვალისწინებს.

გამოყითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ შესრულებული სამუშაო ანაზღაურებული უნდა იქნეს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიხედვით, რადგან ხელშეკრულებით განსაზღვრული ნოზოლოგიური ლირებულების ტარიფი უფრო მცირეა დაწესებულებების შიდა სტანდარტით განსაზღვრულ ტარიფზე. ასევე პრობლემურია ის, რომ ტარიფის დაფგენისას არ იყო გათვალისწინებული წინასაოპერაციო დიაგნოსტიკა.

რაც შეეხება სამეანო დახმარების კომპონენტს გამოყითხულთა უმრავლესობა თვლის რომ 200 ლარი, რომელიც გამოყოფილია ალნიშნული მომსახურებისათვის, მიზერული ლირებულებაა ამ სერვისის გასაწევად.

ძირითადი ხარვეზი გამოყითხულთა აზრით, ყველა კომპონენტში განპირობებულია მწირი ბიუჯეტით, მიღებული ანაზღაურება ვერ ფარავს კომუნალურ ხარჯებს, კლინიკა ლაბორატორიულ დიაგნოსტიკას და რაც ყველაზე მთავარია მედიკერსონალის შრომის ანაზღაურებას, მაგრამ მიუხედავად ხარვეზებისა ყველა გამოყითხული თვლის, რომ აუცილებელია პროგრამის გაგრძელება თუნდაც არსებული მოცულობით და მიესალმებიან თუ მათი მოსაზრება გათვალისწინებული იქნება.

კითხვარების ანალიზმა ცხადყო, რომ პროგრამის გაგრძელება აუცილებელია, როგორც ყველა გამოყითხული ალნიშნავს ამ პროგრამის ფარგლებში ბევრმა ისეთმა მოქალაქემ მიიღო გეგმიური სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურეობა, რომელიც პროგრამის არ არსებობის შემთხვევაში ნამდვილად ვერ შეძლებოდა ჩაეტარებინა შესაბამისი მჯერნალობა. ყარგი იქნებოდა მსგავსი კითხვარები თუ შემუშავდება პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარებისათვის და გათვალისწინებული იქნებოდა მათი აზრი პროგრამის მიმდინარეობის შესახებ.

რადგანაც, 1 სექტემბრიდან თბილისა და იმერეთში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამეციცინო დახმარებას შესაბამისი პროგრამის ფარგლებში ახორციელებენ კურძო სადაზღვეო კომპანიები, ბენეფიციართა თითქმის 90%-მა უკვე გააქცა არჩევანი და დაწესებულებები, მაგრამ როგორც ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სახელმწიფო სააგენტოში, ასევე ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში შედიოდა ბენეფიციართა განცხადებები, რომლებიც ითხოვდნენ მათი სადაზღვეო ხელშეკრულების გაუქმებას და გადაზღვევას რომელიმე სხვა კომპანიაში, რადგან მათმა რჩეულმა სადაზღვეო კომპანიამ ვერ გაუწია ის სამეციცინო

მომსახურეობა, რასაც ბენეფიციარი საჭიროებდა. ძირითად პრობლემას ბენეფიციარები რა თქმა უნდა აწყდებან გეგმიური სტაციონარული და ამბელატორიული მომსახურეობის საჭიროების შემთხვევაში. როგორც წესი ბენეფიციარი პირველ რიგში მიმართავს სტაციონარს, რათა გაარჩევიოს მისთვის საჭირო მჯურნალობისა თუ დიაგნოსტიკის მოცულობა, ხშირ შემთხვევაში სტაციონარის ექიმის აზრი და კერძო სადაზღვეო კომპანიის “ოჯახის ექიმის” აზრი ერთმანეთს არ ემთხვევა ამა თუ იმ სამედიცინო მომსახურეობის საჭიროების შესახებ, რაც იწვევს ბენეფიციარების უკამაყოფილებას.

აღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარე იქმნება აუცილებლობა შეიქმნას ე.წ. პრეტენზიების განმხილველი კომისია, რომელსაც თავის მხრივ დაესწრებან როგორც სადაზღვეო კომპანიის წარმომადგენლები, ასევე ჯანმრთელობისა და სოციალური დახმარების სააგენტოს და სამინისტროს წარმომადგენლები და განიხილება თითოეული პრეტენზია და კონკრეტული შემთხვევა.

რამდენად წარმატებულია ექსპერიმენტი იმერეთსა და თბილისში ამას 2008 წლის ოქტომბერში კერძო სადაზღვეო კომპანიების მიერ შესრულებული სამუშაოების ანალიზი ცხადყოფს. სასურველია მოხდეს ამ ანალიზის შედარება სააგენტოს მიერ შესრულებულ სამუშაოსთან, რადგან ცნობილია, რომ 2008 წლიდან დაგეგმილია მთლიანად საქართველოში რეგისტრირებული ბენეფიციარების დახმარების განხორციელება კერძო სადაზღვეო კომპანიების მიერ. საინტერესოა ასევე მოხდეს იმ ხელშეკრულებების შედარება შესაბამისი ნოზოლოგიების ღირებულებით, რომელიც სერვისპროვაიდერებს აქავშირებთ ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოსა და კერძო სადაზღვეო კომპანიებთან.

### **აადაცვის დაფინანსების არსაბული მდგრადრეობის მოალე მიმოხილვა და შედარება სოციალისტური ბანაის ცალკეულ ქვეყნებთან**

ჯანდაცვის სექტორის ზოგადი ეკონომიკური შეფასებისათვის მოალედ მიმოვინილავთ საქართველოში დღეს არსებულ სიტუაციას და შევადარებთ ალმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რამოდენიმე ქვეყანას. ქვეყნების ამ ჯგუფთან შედარება გამართლებულია ინსტიტუციური მოწყობისა და სოციალური და ეკონომიკური განვითარების დონის მეტ-ნაკლები ერთგვაროვნებით.

ქვეყანათა ჯგუფი ცხრილ №7-ში დალაგებულია ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროცესების (მშპ) სიცილით (მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებით). ცხრილის ანალიზისას იკვეთება ერთი მეტად ნიშანდობლივი ტენდენცია: ერთ სულზე ყველაზე მაღალი მშპ-ს მქონე შვილი ქვეყანა ასევე ლიდერობს ერთ სულზე სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯებით.

## ცხრილი №7

	მშპ ერთ სულზე (PPP)	სახელმწიფო დოკუმენტი 2006 წ	მთლიანი განვითარები (PPP)	ჯანდაცვაზე განვითარების დოკუმენტი 2004 წ	ჯანდაცვაზე განვითარების ნილი მშპ-დან 2005 წ
ესტონეთი	16692	590	776	4.2	
პოლონეთი	15149	567	810	4.5	
ლატვია	15806	387	750	3.3	
რუსეთი	12178	341	570	3.2	
ბულგარეთი	10022	354	634	4.3	
ყაზახეთი	9568	245	393	2.4	
უკრაინა	7832	240	361	3.9	
აზერბაიჯანი	6476	39	159	0.9	
სომხეთი	5177	74	320	1.3	
საქართველო	3642	66	209	1.8	
მოლდოვა	2744	114	202	4.2	
ტაჯიკეთი	1494	19	83	1	

საგელისხმოა, რომ კორელაცია არ იქვეთება ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონისა და ერთ სულზე ჯანდაცვის საერთო დანახარჯებს შორის, მათ შორის კერძო დანახარჯებს შორის. ეს შესაძლოა მიუთითებდეს იმაზე, რომ ჯანდაცვის კერძო სექტორის განვითარება შედარებით ნაკლებად უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ამის მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ ჯანდაცვის კერძო მომსახურება რომელიმე ქვეყანაში მაღალი ხარისხის და შედარებით ძვირ სერვისებს განეკუთვნება, ამიტომაც მაღალია მისი აღმინისტრირების ხარჯები. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ცხრილში მოყვანილ შედარებით განვითარებულ შვიდ ქვეყანასა და მოლდოვაში ჯანდაცვაზე სახელმწიფოს მიერ განეული ხარჯები მშპ-ს 2%-ს აჭარბებს. ჯანდაცვის დაფინანსების მაჩვენებლებით გამორჩეული ყველა ქვეყანა (გარდა ყაზახეთისა) ევროპის კონტინენტზე მდებარეობს. ეს შესაძლოა მიუთითებდეს ამ ქვეყნების პოლიტიკური მართვისა და ეკონომიკური მოწყობის უფრო მაღალ ხარისხსა და სახელმწიფო ფინანსების უფრო მეტიონდ გამოკვეთილ ორიენტაციას სოციალურ სფეროზე.

ცხრილში მოყვანილი ფაქტები ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ გარდამავალ პერიოდში ჯანდაცვის სახელმწიფო დაფინანსებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. სამწეხაროდ, ზემოთმოყვანილი პარამეტრებით საქართველო მხოლოდ აზერბაიჯანსა და ტაჯიკეთს უსწორებს, რომლებმიც ჯანდაცვის ხარჯები ერთ სულზე

ასახვით, სრულიად არააღებატურიად შეიძლება ჩაითვალოს. აღსანიშნავია, რომ მოლდოვა, რომელიც საქართველოზე ბევრად ნაკლებ ეკონომიკურ პოტენციალს ფლობს, მაინც ახერხებს ჯანდაცვისათვის უფრო მეტი თანხების გამოყოფას.

საქართველოს მთავრობის „ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების” დოკუმენტის მიხედვით ნავარაუდევია ჯანდაცვისა სფეროში სამკურნალო, ჯანდაცვითი და სოციალური, ასევე საინვესტიციო პროგრამების სახით დაფინანსების თანდათანობით ზრდა. 2007 წელს ჯამური დაფინანსება დაახლოებით 279 მილიონ ლარს შეადგინს, რაც მშპ-ს თითქმის 1.9%-ია. ეს დაფინანსება 2010 წლისათვის 377 მილიონამდე უნდა გაიზარდოს, რაც მშპ-ს 1.9% ნტი იქნება. ნავარაუდევია სამკურნალო პროგრამების დაფინანსების უფრო სწრაფი ზრდა, ვიდრე დანარჩენი ორი კომპონენტისა. ამიტომაც ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების მიმართება მშპ-სთან უახლოეს მომავალში უცვლელი რჩება. აქედან გამომდინარე, საქართველო ჯანდაცვაზე სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯებით ზემოთმოყვანილ ქვეყნების აგენტში უახლოეს მომავალშიც ერთ-ერთ ბოლო ადგილზე დარჩება. სავარაუდოდ, გაიზრდება ჯანდაცვაზე კერძო დანახარჯებიც, მაგრამ ეს ალბათ საქართველოს არ იქნება სიტუაციის მნიშვნელოვნად შესაცვლელად. თუ დავეშვებთ, რომ ჯანდაცვაზე კერძო დანახარჯების ზრდის ტემპი განსახილველ პერიოდში ეკონომიკის ნავარაუდევ რეალურ ზრდის ტემპს გაუტოლდება (10%), მათი მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 200 დოლარს არ გადააჭარბებს. ცხრილში მოყვანილ ქვეყნებში ექიმთა რიცხვი ყოველ 100000 კაცზე 66-73 სპეციალისტის ფარგლებში მერყეობს. აქედან გამომდინარე საქართველოში ჯანდაცვის სექტორის შედარებით დაბალი ბრუნვის გათვალისწინებით და ექიმთა ფარილობითი რიცხვის ერთგვარი მოსალოდნელი შემცირების ფონზეც კი, უახლოეს მომავალში, სამრეხაროდ არსებითად ვერ შეიცვლება მედიკოსთა მატერიალური მდგომარეობა. ეს კი დადგებითად ვერ აისახება სექტორის განვითარებაზე. ახლო მომავალში პროგნოზირებულია მოსახლეობის ძალზეც ნელი ზრდა და თანდათანობითი დაბერება. ამ ფაქტისა და სახელმწიფო დანახარჯების ნელი ზრდის ტემპის გათვალისწინებით, საქართველოში ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯები ერთ სულზე კვლავაც დაბალი დარჩება. ეს ცხადია, აშკარად არაა საქართველოს ჯანდაცვის სფეროში სერიოზული პროგრესის მისაღწევად, მით უმეტეს, მოსახლეობის ულარიბესი ფენების მდგომარეობის არსებითად გასაუმჯობესებლად.

## საქართველოს ფაზლვევის სექტორის განვითარების ტენდენციების მოკლე მიმოხილვა

საქართველოს საფაზლვევო სექტორი ბოლო წლების სწრაფი განვითარების მიუხედავად, მაინც საქმაოდ მცირეა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. გასულ წელს ფაზლვევის სექტორის მიერ მიღებულმა პრემიის ჯამურმა მოცულობამ 70 მილიონ ლარს გადააჭარბა, რაც ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 16 ლარზე მეტს შეადგენს. საფაზლვევო სექტორი საქმაოდ სწრაფი ტემპით ვითარდება და მისი საშეალო წლიური ზრდის ტემპები (ნომინალური) ბოლო 7 წლის განმავლობაში 50% აჭარბებს, თუმცა ბოლო წლებში შეინიშნება ზრდის ტემპის ერთგვარი სტაბილიზაცია. საფაზლვევო კომპანიების მიერ გასულ წელს გაცემულმა ანაზღაურებამ 23 მილიონ ლარს გადააჭარბა. უფიცისი საფაზლვევო კომპანია „BCI ალტაგის“ ჯამურმა პრემიამ დაახლოებით 30 მილიონი ლარი, ანუ მთელი ბაზრის 41%-ზე მეტი შეადგინა. ალსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სამეციცინო ფაზლვევის სფეროში მიღებული პრემია დაახლოებით 19 მილიონ ლარს, ანუ მთელი საფაზლვევო მომსახურების ბრუნვის დაახლოებით 27%-ს შეადგენს. სამეციცინო ფაზლვევის წილი მთელს პრემიაში წლების მანძილზე შედარებით სტაბილური იყო და 2001-2005 წლებში 18-19% ფარგლებში მერყეობდა. აქვე გასათვალისწინებელია ის ობიექტური გარემოება, რომ სამეციცინო ფაზლვევა ზოგადად საქმაოდ ძვირი მომსახურებაა, ამიტომაც ქართულ საფაზლვევო კომპანიებს პრემიის თითო ლარზე ანაზღაურების სახით 70 თეთრის გაცემა უწევთ. ამ კრიტერიუმით დახმარების ეს ფორმა სხვა ყველასთან შედარებით ძვირი მომსახურებაა (ავტომობილების ფაზლვევა, ტვირთი, ფინანსური რისკი, სიცოცხლის ფაზლვევა, უბედური შემთხვევები, ქონების ფაზლვევა და სხვა).

ზემოთმოყვანილი ინფორმაცია ცხადყოფს, რომ ქართული საფაზლვევო კომპანიების ჯამური ბრუნვა ჯერ კიდევ არ არის საქმარისი მოსახლეობის ფართო ფენების დასაზღვევად. ჯანდაცვის ფაზლვევაზე გაცემული ანაზღაურებისა და პრემიის მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, რომ ფაზლვევით მოსარგებლები პირთა რიცხვი არც ისე დიდია. თუ ჯანდაცვის სტანდარტული წლიური საფაზლვევო პაკეტის მოცულობას 150-200 ლარის ფარგლებში მოვაჩნევთ, შეიძლება ჩაითვალოს, რომ გასულ წელს სამეციცინო ფაზლვევით მოსარგებლებთა რიცხვი 100-140 ათასი კაცის ფარგლებში მერყეობდა. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართულ სამეციცინო ფაზლვევის ბაზარზე დომინირებს კორპორატიული ფაზლვევა, რაც გულისხმობს დამქირავებლის მიერ დაქირავებული მოსამსახურების ჯგუფების ფაზლვევას. ამის მიზეზი სავსებით გასაგებია, რადგან ინდივიდუალური ფაზლვევა საქმაოდ ძვირია, ხოლო საფაზლვევო კომპანია ადამიანთა ჯგუფის ფაზლვევით მიღებული პრემიით ახერხებს ინდივიდების ცალ-ცალკე ფაზლვევასთან დაკავშირებული რისკების გამოთანაბრებას. ამგვარად, დღევანდებული სამეციცინო დახმარების ბაზარი, განვითარების საქმაოდ დამაიმულებული ტენდენციების მიუხედავად, ბრუნვის სიციდიცან გამომდინარე ჯერ კიდევ არ არის სრულად მზად დამატებით 700 ათასი

კაცის მომსახურებისათვის, თუმცა მეორეს მხრივ, სახელმწიფო პროგრამის განხორციელებამ შეიძლება სექტორის განვითარებას შემდგომი მძლავრი ბიძგი მისცეს, თუკი პროგრამის აღმინისტრირება და მონიტორინგი წარმატებით განხორციელდება. ამაში გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს მთავრობის მიერ შემუშავებული პროგრამის დიზაინის სიზუსტემ, ულარიბესი მოსახლეობის გამოვლენისა და მათი ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნათა მქაფიოდ განსაზღვრამ და მინდინარეობის პროცესში პროგრამის საფუძვლიანმა მონიტორინგმა.

### დასკვნა

საქართველოს მთავრობამ სოციალურად დაუცველი ფენების სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად, ჩვენის აზრით, სწორი სქემა აირჩია, რომელიც თავისთვალ მთავრობის ხელთ ასებული ოპტიმალური არჩევანი შეიძლება იყოს რამდენიმე მოსახლეობისა და მათი ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნათა მქაფიოდ განსაზღვრამ და მინდინარეობის პროცესში პროგრამის საფუძვლიანმა მონიტორინგმა. 1. მოსახლეობის ლარიბი ფენების მხოლოდ სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებების მეშვეობით მომსახურება გაცილებით ძვირი დაჯდებოდა კერძო სექტორის მონაწლეობით იგივე საქმიანობის წარმოებასთან შედარებით. გარდა ამისა, მხოლოდ სახელმწიფოს მონაწილეობა, სავარაუდოდ, კორეფუციასა და არაეფექტურიანობას გამოიწვევდა. 2. მხოლოდ კერძო სექტორისთვის მოსახლეობის ლარიბი ფენების მომსახურების გადაკისრება შეეძლო გამოეწვია ის, რომ ლარიბი მოსახლეობა საერთოდ ველარ ისარგებლებდა სამედიცინო მომსახურებით. 3. სახელმწიფო-კერძო თანამშრომლობა და ვაუჩერების დარიგება მოსახლეობასა და სადაზღვევო კომპანიებს თეორიულად არჩევანის საშუალებას უქმნის, რაც ბაზარზე კონკურენტული ფასებისა და ხარისხის ჩამოყალიბების საზინდარია. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მთავრობის მიერ ალებული გეზის თეორიული საფუძველი სოლიდურია, თუმცა ზემოთმოყვანილი სამი გადაწყვეტილებიდან ყველაზე რთულად შესასრულებებლი იქნება სწორედ დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და მოთხოვნისა და მინდების მხარეს მდგომი ეკონომიკური აგენტების ქმედებათა და პრეფერენციათა დადგენა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვაუჩერების დარიგების პირველი ეტაპი სირთულეებით ხასიათდებოდა, რაც სავარაუდოდ მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობით იყო გამოწვეული, წინასწარი შესრავლითი სამუშაოების არასაკმარისი მოცულობით და სახელმწიფო და კერძო სამედიცინო დაწესებულებების ინსტიტუციური მზაობის ნაკლებობით ასეთი მასშტაბური პროგრამის დასაფინანსებლად. მართალია, თითოეულ ლარიბ მოსახლეზე გადაანგარიშებით ჯანდაცვის დახმარების პაკეტი არც თუ ისე დიდია, ის ამ ეტაპზე შესაძლოა ოპტიმალურად ჩაითვალოს ორი მიზეზის გათვალისწინებით: 1. სამწესაროი, სახელმწიფოს ფინანსური შესაძლებლობები ჯერ კიდევ მწირია, 2. უფრო „ძვირი“ ვაუჩერების დარიგებამ პროგრამის სიახლიდან გამომდინარე, შესაძლოა დიდ დანაკარგებათან მიგვიყვანოს. თუმცა აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ პროგრამის ფულადი მოცულობა თითქმის

მთლიანად უფრის გასულ წელს კერძო სამეციცინო დაზღვევის ფირმების მიერ მიღებულ ჯამურ პრემიას, ამან კი შესაძლოა სერიოზული პრობლემები შეუქმნას სადაზღვევო კომპანიებს ადმინისტრირების თვალსაზრისით, რაც მათი ადამიანური, ფინანსური და ინსტიტუციური რესურსების სიმწირით იქნება გამოწვეული. უფრო თვალსაჩიოა ის, რომ იმ შემთხვევაში, თუ დაზღვევით ღარიბი ფენების დიდი ნაწილი ისარგებლებს, ამ ახალი კლიენტების მასა სადაზღვევო ფირმების დღემდე არსებულ კლიენტთა ბაზას რამდენჯერმე გადააჭარბებს, რაც აუცილებლად გამოიწვევს შეფერხებებს.

პრობლემურად მიგვაჩნია შერჩეული 700 ათასი ადამიანის პრეფერენციათა (საჭიროებათა) და სამეციცინო სფეროს შესაძლებლობებთან შეთანხმება. ჯერ ერთი, მყაფიოდ უნდა გამოვლენილიყო ამ ადამიანთა ჯგუფში ყველაზე მეტად გავრცელებული დაავადებები და დახმარების პაკეტი შეძლებისდაგვარად ადეკვატურად უნდა ყოფილიყო შეფგენილი. სამწესაროდ, ჩვენს ხელთ არ არსებობს ინფორმაცია ჩატარდა თუ არა ასეთი შესწავლა. ასეთი პრაქტიკა საკმაოდ გავრცელებულია და აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სახელმწიფო დახმარების პროგრამების მაღალი ეფექტიანობის მისაღწევად. მაგალითისათვის, მოვიყვანთ ბრაზილიის მაგალითს, სადაც ღარიბი ფენებისათვის ქვეყნის ბიუჯეტი ყოველწლიურად მიღებისართობით დოლარს ხარჯავდა, მაგრამ გამოკვლევების თანახმად, ამ თანხის უდიდესი ნაწილი მოსახლეობის მდიდარი ფენების ჯიბეებში ილექტორა, რალგანაც მთავრობა, კარგი განზრახვის მიუხედავად, ვერ ახერხებდა იმ ჯგუფების იდენტიფიცირებას, რომლებიც ნამდვილად საჭიროებელნენ დახმარებას. ზოგადად ასეთი ტიპის დახმარება უნდა იყოს საჭიროებებზე დაფუძნებული (Means tested). ამაში იგულისხმება შემდეგი მექანიზმი: მოსახლეობის უღარიბესი ფენებისათვის გამიზნელი პროცესი თუ მომსახურება უნდა იყოს შეძლებისდაგვარად დაზუსტებული, მარტივი და იათი, რათა მხოლოდ ღარიბ მოსახლეობას გაუჩნდეს მისი მოხმარების სურვილი. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება ისეთ მდგომარეობასთან, როცა სახელმწიფო დახმარებით მოსახლეობის ის ფენები ისარგებლებენ, რომლებიც მას შედარებით ნაკლებად საჭიროებენ. აუცილებელია წინასწარ იყოს ცნობილი დამახასიათებელია თუ არა საქართველოს მოსახლეობის უფარიბესი 700 ათასი ადამიანისათვის უფრო მეტად რაიმე ისეთი დაავადება (ვთქვათ ინფექციური) რაც შედარებით ნაკლენად გვხვდება მოახლეობის უფრო მდიდარ ფენებში? განსხვავდება თუ არა ღარიბი მოსახლეობის ასაკობრივი, განსახლების, ეროვნული, განათლებისა თუ სხვა მახასიათებლები დანარჩენი მოსახლეობისაგან? როგორია ამ ადამიანთა სამეციცინო მომსახურებით სარგებლობის ზოგადი კულტურა? ხომ არ ჯობია მათი მედიკამეტებით დაზღვევა? და სხვა. ამ კითხვებზე პასუხისმომვალ დაზღვევის მექანიზმების ეფექტიანი მუშაობა მეტად გართულდება.

უნდა დაფგინდეს დაზღვევის პაკეტის ათვისებასთან დაკავშირებული ტრანსაქციული დანახარჯები. მაგალითად, თუ დაზღვევის მიმღები სოფლად ცხოვრობს და

მოშორებულია მსხვილ ადმინისტრაციულ ცენტრებს, სადაც ის კვალიფიციურ დახმარებას მიიღებდა, მაშინ პოლისის რეალური ღირებულება ბევრად ნაკლები იქნება ნომინალზე, რამაც შეიძლება ბენეფიციარის მისი ე.წ. „გაყიდვისაკენ“ უბიძგოს.

ბენეფიციართა ინფორმირებისათვის საჭიროა მძლავრი საინფორმაციო კამპანიის მედივი წარმოება, რაც მათ შეუმცირებს ზემოთხსენებულ ტრანსაქციულ დანახარჯებს, გაარკვევს უფლებებსა და მოვალეობებში და ექიმთან ვიზიტისა და წამლების შეძენის უკეთ დაგეგმვის საშუალებას მისცემს.

იმ შემთხვევაში, თუ სამიზნე ჯეფი კარგად არ არის შერჩეული, თვალსაჩინო გახდება დახმარების სექტორისათვის დამახასიათებელი ორი ფუნდამენტური პრობლემა: არახელსაყრელი შერჩევა (Adverse selection) და მორალური რისკი (Moral hazard). პირველ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიები იძულებულნი გახდებიან სულ უფრო შეამცირონ მომსახურების მოცულობა, რადგანაც მოკლებულნი იქნებიან მათთვის შერჩეული პოტენციური კლიენტების ჯეფის მახასიათებლების გამოვლენის საშუალებას. ამ შემთხვევაში სადაზღვევო ფირმა მომსახურება ყველაზე მაღალი რისკის მქონე პირებს, ხოლო დანარჩენები მომსახურების გარეშე დარჩებიან. მორალური რისკის დროს ყველაზე მაღალი რისკის მქონე კლიენტთა ჯეფებს გაუჩინდებათ სურვილი იმაზე მეტი ზომით ისარგებლონ დაზღვევის მომსახურებით, ვიდრე მას სრულყოფილი ინფორმაციის არსებობის (ანუ იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევს მათი ქმედებებისა და რისკების ზუსტი მონიტორინგის საშუალება ექნება) პირობებში მოინცომებდნენ.

სახელმწიფო პროგრამათა უმრავლესობა იგეგმება წინასწარი ეკონომიკური ანალიზისა და გათვალების ჩატარების გარეშე. ამის მიზეზებად შეიძლება ჩაითვალოს პროფესიონალი კადრების სიმცირე, პროგრამის დაგეგმვის მოკლე ვადა და ა.შ. შესაბამისად, არასწორი დაგეგმვის შემთხვევაში ამგვარი პროგრამების საბოლოო ეფექტი ხშირად არასაკარისია. მაქსიმალური შედეგის მისაღწევად, სავალდებულოა ანალიზი გაუკეთდეს იმ ეკონომიკურ ფაქტორებს, რომელთა მიხედვით ამგვარი პროგრამები უნდა დაიგეგმოს, და რომლებსაც, ხშირ შემთხვევაში უგულებელყოფილია სახელმწიფო პროგრამების შემუშავებისას. აუცილებელია, რომ სახელმწიფო პროგრამები შესაბამისობაში მოდიოდეს ხარჯების საშუალოვალიანი დაგეგმვის სისტემასთან. პროგრამების ეფექტურობის გაზრდისათვის, პროგრამები საშუალოვალიან პერიოდზე უნდა იყოს გათვალისწინებით შეგვიძლია განვალებების განვალებით, რომ მთავრობის ახალი პროგრამა თეორიულად მისასალმებელი ინიციატივაა, თუმცა მისი მასშტაბები, სიახლე და ქართულ სამეციცინო და სადაზღვეო სფეროში არსებული პრობლემები შესაძლოა მისი წარმატებული განხორციელების შემაფერხებლად იქცეს. ალბათ უპრიანი იქნებოდა თავიდან შედარებით ნაკლები

დასკვნის სახით, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით შეგვიძლია განვალებადოთ, რომ მთავრობის ახალი პროგრამა თეორიულად მისასალმებელი ინიციატივაა, თუმცა მისი მასშტაბები, სიახლე და ქართულ სამეციცინო და სადაზღვეო სფეროში არსებული პრობლემები შესაძლოა მისი წარმატებული განხორციელების შემაფერხებლად იქცეს. ალბათ უპრიანი იქნებოდა თავიდან შედარებით ნაკლები

ზომის, საპილოტო პროგრამის მომზადება და განხორციელება, რაც დღეს უკვე  
მოქმედი პროგრამის უკეთ დაგეგმვის საშუალებას შექმნილა. საბოლოოდ  
პროგრამის ეფექტურობისა და ეფექტურობის შეფასების საშუალებას სახელმწიფოს  
მიერ შემოთავაზებული ვაუჩერებით მოსარგებლე პირთა შემდგომი კვლევა  
მოგვცემს.